სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მარიამ ჩუბინიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**7**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

თარიღი : 17.09.2024

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის მარიამ ჩუბინიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით საქართველოს საერთო სასამართლოებში 18 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით დაწყებული კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ მარიამ ჩუბინიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u>** <u>საქართველოს სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:</u>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი,

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მარიამ ჩუბინიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. მარიამ ჩუბინიძეს, შესაფასებელ პერიოდში, უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ერთი ფაქტი. სანქციად დაეკისრა სიტყვიერი შენიშვნა. მარიამ ჩუბინიძეს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის გულწრფელობაზე, საქმის ერთგულებაზე, საიმედოობაზე, კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებაზე. ასევე, აღნიშნავენ მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებსაც. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ „ძალიან კარგად". იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს (აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია). მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. ვფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.

		2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ დადებითად. მიაჩნიათ, რომ სამართლიანი, ობიექტური და პიროვნულად შეუვალი ადამიანია. მათი აზრით, თვითკრიტიკულია და შეუძლია საკუთარი შეცდომის და სისუსტის აღიარება. მას გააჩნია პრობლემური საკითხების საკუთარ თავზე აღებისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მარიამ ჩუბინიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ასევე, სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ მიუღია. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის ზომიერი, თანმიმდევრული, ტოლერანტული, თავშეკავებული, ადამიანური თანაგრძნობის მქონე პიროვნება. მიაჩნიათ, რომ მას შეუძლია განაწყოს ადამიანები პატივისცემით

			და ნდობით, ზედმიწევნით კარგად მართავს საკუთარ ემოციებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ უჭირდა საკუთარი ემოციების მართვა. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ემოციურად სტაბილურია, არ უჭირს ნებისყოფის მოკრება და კონკრეტულ საკითხზე კონცენტრირება. მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და განოკითხული პირები ახასიათებენ მხოლოდ დადებითად. პროფესიულ წრეში სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით. მარიამ ჩუბინიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში საყურადღებო ინფორმაცია არ იძებნება. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება

			მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატს სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები (ნაშრომი/პუბლიკაცია) არ წარმოუდგენია. იმის გათავლისწინებით, რომ მას სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია და ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, მარიამ ჩუბინიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასება, გარდა გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებისა, ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას. მარიამ ჩუბინბიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: • მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15 • რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 7. დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სამოქალაქო სამართლში მარიამ ჩუბინიძე მაღალ დონე'ზე ფლობს მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას. შესწევს უნარი თეორიული ცოდნა შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს თეორიული ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის. მის მიერ შედგენილი პროცესუალური დოკუმენტები გამოირჩეოდა აზრის ლაკონურად, თანმიმდევრულად ჩამოყალიბებით, ფაქტების ზუსტი და სწორი შეფასებით, მკაფიო სამართლებრივი დასაბუთებით. ადმინისტრაციულ სამართალში მარიამ ჩუბინიძე კარგად იცნობს მოქმედ კანონმდებლობას, ფლობს თეორიულ ცოდნას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული გულმოდგინება მუშაობის პროცესში და უდიდესი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ. სისხლის სამართალში სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დებულებების ცოდნა. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მარიამ ჩიბინიძემ გამოავლინა ეროვნული

			კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. გასაუბრებისას კანდიდატმა ძირითადად სრული და ამომწურავი პასუხები გასცა საოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროდან დასმულ შეკითხვებს. რამოდენიმე შეკითხვაზე გასცა ზედაპირული და არასრული პასუხიც. საბოლოოდ მიმაჩნია, რომ მისი ცოდნა თვალსაჩინოა, განსაკუთრებით სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, რაც დასტურდება გასაუბრების პროცესში დასმულ კითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს სამართლებრივ ხასიათის დოკუმენტები არ წარმოუდგენია და მოცემული მახასიათებლით მისი შეფასებისას ვითვალისწინებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ზემოხსენებულ შეფასებას. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატმა ძირითადად ამომწურავად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად იმსჯელა მის მიმართ დასმულ ზოგადი და კონკრეტული ხასიათის სამართლებრივ შეკითხვებზე. საჯარო მოსმენის შემდეგ მიგიჩნევ, რომ კანდიდატს შესწევს უნარი სწორად და სრულად შეაფასოს სამართლებრივი პრობლემა და საფუძვლიანი მსჯელობა განავითაროს შესაბამისი მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს

			წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა წერილობით. მისი წერილობითი მსჯელობა ლოგიკურად გამართული, საფუძვლიანი და თანმიმდევრულია. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებლობის უნარი.
პროფესიული თვისებები	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი შრომისმოყვარეა, ორგანიზებული, პროდუქტიული, შედეგსა და ხარისხზე ორიენტირებული პროფესიონალია. მათი აზრით, აქვს კარგი მენეჯერული თვისებები, შეუძლია ეფექტიანად დაგეგმოს და მართოს ვითარება რთულ სიტუაციებში, აგრეთვე, აქვს გუნდური მუშაობის უნარიც. ჩემის აზრით, მას გააჩნია სათანადო პასუხისმგებლობის გრძნობა და გაცნობიერებული აქვს სასამართლო სისტემაში საქმიანობის ტვირთი და მნიშვნელობა. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნული კანდიდატის დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მარიამ ჩუბინიძე ინტენსიურად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და

			ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბოლო პერიოდში ინტენსიური სწავლების კურსს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მარიამ ჩუბინიძეს გააჩნია ახალი, მისთვის აუცილებელი ცოდნის და გამოცდილების მიღების მისწრაფება და ღიაა პროფესიული სიახლეებისადმი.
პროფესიული აქტივობა	4	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა. გარდა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდისა, ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი. კანდიდატი ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.
ქულათა ჯამი	87	100	

თარიღი : 17.09.2024

ლევან მურუსიძე